შეთანხმებულია
სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42 საჯარო საჯარო სკოლის სამეურვეო
საბჭოს 2024 წლის 10 სექტემბრის N 10 სხდომაზე
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ნუგზარ მიქაძე

_____

დამტკიცებულია
სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42 საჯარო საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს
2024 წლის 13 სექტემბრის N 05 სხდომაზე

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე:
ირინა კირვალიძე

_____

სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქ. თბილისის N42 საჯარო სკოლის

სასკოლო სასწავლო გეგმა

2024-2025 სასწავლო წელი შინაარსი

შესავალი .

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია .

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია .

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა .

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებები

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი .

სასკოლო კულტურა

ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

საათობრივი ბადე

სამოსწავლეთა რაოდენობა/ განაყოფებიათობრივი

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

ციფრული ტრანსფორმაცია

შინსწავლება

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

სადამრიგებლო პროგრამა

ინკლუზიური განათლება

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა

სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები

დანართები

შესავალი

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და დირექტორის მოადგილის მონაწილეობით.

2024-2025 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით და მოიცავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებს.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ენაზე - საბაზო და საშუალო საფეხურზე. საბაზო საფეხური - VII-IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- X-XII კლასებს.
სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სკოლის ვებგვერდის, ბიბლიოთეკისა და კლასის დამრიგებლის საშუალებით) არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლა სპეციალიზებულია. სკოლის სტრატეგიული მიზნები და მისია მისი პროფილიდან გამომომდინარეობს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარების ხელშეწყობა. სკოლა ცდილობს გამოიყენოს და განავითაროს მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქვეყნის ძირითადი სიმდიდრე - ინტელექტუალური რესურსი. შესაბამისად, სკოლის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს განათლებული ახალგაზრდა ლიდერები, რომელთაც შეეძლებათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში წარმატებულად მონაწილეობა. ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს საშუალება მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისა და არა თვითმიზანი. სკოლას სურს, რომ მომავალი ინტელექტუალური ელიტის მთავარი საზრუნავი იყოს ადამიანი, მისი პოტენციალის ზრდა, ისეთი საზოგადოების აშენება, რომელშიც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება სრულფასოვანი, ხარისხიანი განათლების მიღების, ჯანმრთელობის დაცვისა და არჩევანის გაკეთების მაქსიმალური თავისუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლა აქტიურად ზრუნავს, მოამზადოს ახალგარდა ლიდერები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში წარმატებული მოღვაწეობისათვის. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების პირობებშია შესაძლებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება. სკოლის საქმიანობა ასევე ემსახურება მომავალ თაობებში პატრიოტული გრძნობებისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პიროვნების პატივისცემასა და ა.შ.

ყოველივე ეს კი განვითარებული ეკონომიკის გარეშე უტოპიური იქნება. ამგვარად, ჩვენი სკოლის მისია და გრძელვადიანი მიზნები უკავშირდება ახალგაზრდა ლიდერების მომზადებას, რომლებსაც შეეძლებათ წარმატებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში. ეს ამბიციური, მაგრამ რეალისტური ამოცანაა, თუ კი გავითვალისწინებთ ჩვენი სკოლის რესურსებს, მის ტრადიციებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების სურვილებსა და მზაობას, სასკოლო სასწავლო გეგმის სპეციფიკურობასა და გამოცდილ პედაგოგიურ კადრებს. შესაბამისად, სკოლის სამოქმედო სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში: `შევინარჩუნოთ სკოლის საუკეთესო ტრადიციები და გავაძლიეროთ ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მეთოდებით. სკოლა ცდილობს, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლისათვის მოტივირებულ და სათანადო მზაობის მქონე მოსწავლეებს შეუქმნას შესაბამისი სასწავლო გარემო და საბოლოო ჯამში, ამით უზრუნველყოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო წრეების, შრომის ბაზრისა და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნის შესაფერისი ინტელექტუალური კადრების მომზადება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

სკოლის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს განათლებული, ჰუმანური, გლობალურად მოაზროვნე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ლიდერები, რომელთაც შეეძლებათ თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში წარმატებულად მონაწილეობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა

დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით შევქმნათ მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე ორიენტირებული, მაღალტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვილი გარემო, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში წარმატებულ მონაწილეობას. სკოლა ცნობადია საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებები

- ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.
- შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.
- ინიციატივების წახალისება
- სიახლეებისაკენ სწრაფვა

სკოლა ხელს უწყობს:

- ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.
- შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების

წევრებისთვის.

- ორგანიზება გაუწიოს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლებიც იქნებიან ჩართულნი.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი

სკოლა უზრუნველყოფს:
ა) სიღრმისეულ სწავლას;
ბ) პოზიტიურ სასწავლო გარემოს;
გ) ინკლუზიურ განათლებას.

1.სიღრმისეული სწავლა-სწავლება გულისხმობს:
ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;
ბ) ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას;
გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;
დ) სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
ე) მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას.

2. სკოლა უზრუნველყოფს **პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:**

კრიტიკული აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;
შემოქმედებითი აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;
თანამშრომლობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმატებით იმუშაოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გაიაზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;
კომუნიკაცია	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის

	პროცესში;
ხასიათი/ნებელობა	• მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;
მოქალაქეობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანაშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

3. ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

ა) ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;
ბ) მრავალფეროვნების დაფასებას;
გ) რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;
დ) დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;
ე) ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;
ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
ზ) მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;
თ) სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი შეჰქონდეს მის განვითარებაში.

სკოლის საერთო კულტურა

სკოლა ხელს უწყობს:

- ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.
- შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.
- ორგანიზება გაუწიოს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლებიც იქნებიან ჩართულნი.

სკოლაში საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების ხელშეწყობისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფორმალური განათლების პარალელურად პრიორიტეტულია არაფორმალური განათლება. ამისათვის ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშემწყობი პროგრამა (დანართი 13)** რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლუბებისა და მათ მიერ დაგეგმილი პროექტებისა და სხვა აქტივოებების განხორციელებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში მოსწავლეებში ცოდნის, უნარების, დამოკიდებულების და ღირებულებების განვითარებისკენ მიმართულ პროგრამებსა და აქტივობებზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება. შესაბამისად სკოლის გარემო მოსწავლეებს ზოგადი განათლების მიზნებიდან გამომიდნარე არსებული კომპეტენციების განვითარებას არა მხოლოდ სასკოლო სივრცეში, არამედ სასკოლო სივრცის გარეთაც სთავაზობს. შესაბამისად ამ მიდგომით კლასგარეშე აქტივობებში და პროექტებში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ მშობლებს, პედაგოგებსა და სხვა სკოლის განვითარებით დაინტერესებულ პირებს. სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით არსებობს მოსწაველთა არაფორმალურ განათლებაში ჩართულობის კონცეფცია. აღნიშნული მიდგომით სკოლას საშუალება ეძლევა მოსწავლეებში განავითაროს სკოლის მიმართ მიკუთვნილებლობის განცდა და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სამუშაო პროცესი. არსებული კონცეფციის პრაქტიკაში განსახორციელებლად სკოლაში არსებობს **მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშემწყობი პროგრამის კოორდინატორის პოზიცია (შემდგომში პროგრამების კოორდინატორი)**. სასკოლო გარემოში მოსწავლეები სარგებლობენ სასკოლო რესურსითა და სივრცით თავიანთი ინიციატივების განხორციელების პროცესში. მათ უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ ფორმალური განათლება დაუკავშირონ იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რასაც არასაკლასო აქტივობების ორგანიზებით იძენენ. შედეგად კი მათ საშუალება აქვთ:

- განავითარონ კომუნიკაციის, დაგეგმვის და სამოქალაქო უნარები;
- გაეცნონ თანამშრომლობის ისეთ მოდელს, როგორიცაა, მოსწავლე-მასწავლებლსა და მოსწავლე-ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობა;
- განავითარონ კრიტიკული აზროვნების და გლობალური მოქალაქობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- განივითარონ აქტიურ მოქალაქისათვის საჭირო ღირებულებები;

- გაეცნონ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მოდელს და თავად მიიღონ მონაწილეობა სამოქალაქო აქტივობებში;
- იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მხარი დაუჭირონ მოხალისეობის განვითარებას;

პროგრამების კოორდინატორი თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამავდროულად პროგრამების კოორდინატორი მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას ახორციელებს.

ინდივიდუალური მუშაობა

ინდივიდუალური მუშაობა გულისხომს მოსწავლეთა ინდივიდუალურ მხარდაჭერას სასკოლო პროექტების ან ინიციატივების განხორციელების პროცესში. პროგრამების კოორდინატორი ცდილობს დაინტერესებულ მოსწავლეებს შორის ქსელური თანამშრლობის დამყარებას და ამავდროულად ხელს უწყობს სკოლაში მათთვის მხარდაჭერის სისტემის განვითარებას.

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური მუშაობა გულისხობს ერთი ინტერესის გარშემო გაერთიანებული მოსწავლეთა მცირე ჯგუფებთან საკლუბო ინიციატივების განვითარების კუთხით საქმიანობას. პროგრამების კოორდინატორი (დანართი N 13) მხარს უჭერს მოსწავლეთა კლუბებისა და თვითმმართველობის მხრიდან შეთავაზებულ საპროექტო იდეებს, ცდილობს მათ მოსწავლეების მონაწილეობით დახვეწას და შემდგომში სკოლის ადმინისტრაციასთან შუამდგომლობს მცირე სახის დაფინასების მოპოვების მიზნით. პროგრამების კოორდინატორის ჯგუფური მუშაობა ასევე გულისხმობს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებისკენ მიმართულ ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვას კლუბში გაწევრიანებული ნაკლები გამოცდილების მქონე მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეთა კლუბები მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისა და მისი ინტერესების გამოვლენისათვის საუკეთესო საშუალებაა კლუბების ფორმირება. იგი მოზარდებს აერთიანებს საერთო ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. კლუბი მოსწავლეს ეხმარება აკეთოს ის რაც თავად სურს და არა ის რასაც აველებენ. თვითმმართველობა კოორდინირებას უწევს ყველა კლუბის მუშაობას, ეხმარება მას პროექტების მომზადებასა და განხორციელებასი ამასთან ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებაში. მოსწალეს შეუძლია გაწევრიანდეს რამოდენიმე კლუბში.

კლუბების ფორმირებისას მოსწავლეების გადაწყვეტილებით აქცენტი გაკეთდა ქვეყანის პრიორიტეტებისა და ევროპული მოქალაქეობის ღირებულებების მხარდაჭერაზე. სკოლაში მოსწავლეთა კლუბების ჩამოყალიბება/ ფუნქციონირება რეგულირდება კლუბის წესდებით, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით. სკოლაში ფუნქციონირებას აგრძელებს სასკოლო ტელევიზია vekua TV, რომელის გადაცემებიც შეგიძლიათ იხილოთ სკოლის ფეისბუქ გვერდზე https://www.facebook.com/schoolvekua. ფუნქციონირებას განაგრძობს სამოქალაქო განათლების კლუბი „inposterum -მომავლისთვის“.

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა

- სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია აწყობს გაფართოებულ შეხვედრებს მშობლებთან. სადაც ხდება მათი ინფორმირება იმ საკითხებზე რასაც სკოლის ადმინისტრაცია გეგმავს ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით. ასევე მიიღება რეკომენდაციები, რასაც სკოლა ითვალისწინებს მიმდინარე სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში.
- ყოველი წლის დასაწყისში დამრიგებლების მეშვეობით მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას , შინაგანაწესს და შესაბამისად შეფასების სისტემას. მშობელთა კრებები ასევე რამოდენიმეჯერ იმართება სასწავლო წლის განმავლობაში. კრებაზე დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალობა.
- სკოლაში არსებობს მშობელთა ელექტრონული ფოსტების მისამართების ბაზა, რაც მნიშვნელოვნად გვიადვილებს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას.
- სკოლას ყავს უსაფრთხო სკოლის კოორდინატორი **(დანართი 12),** რომლის ფუნქციაში შედის მშობლის ინფორმირების ზედამხედველობა მოსწავლის დისციპლინარული გადაცდომების დაფიქსირების შემთხვევაში. ამისათვის შემუშავებული გვაქვს ეგრეთწოდებული „ფინური ფორმა“ სადაც პედაგოთან და მოსწავლესთან ერთად მშობელი აფიქსირებს თავის პოზიციას კონკრეტულ გადაცდომასთან მიმართებაში.
- ყოველ პარასკევ დღეს მშობელს შეუძლია გაეცნოს შვილის როგორც აკადემიურ ისე დისციპლინარილ მდგომარეობას.
- წელიწადში ერთხელ სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით ხდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა. კვლევა ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დონის დადგენას.
- დამრიგებელი წლის ბოლოს ამზადებს თითოეული მოსწავლის ინდივიდულაურ დახასიათებას და ელექტრონული ფოსტით უგზავნის მშობელს (მოსწავლის ინდივიდუალური დახასიათების ფორმა იხილეთ **დანართი 7-ის** სახით)
- სკოლას აქვს ვებ-გვერდი, **vekua 42.edu.ge** / ფეისბუქის გვარდი **Tbilisi I. Vekua Physics-Mathematical School 42** საინფორმაციო დაფა.

ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

4.1.მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს სწავლა-სწავლების დროს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით,

ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით.
სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.
სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

4.2.სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა

სკოლაში არ ხდება მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით.
განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს.
სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

4.3. გაღრმავებული სწავლება

მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა უზრუნველყოფს გაღრმავებულ სწავლებას ფიზიკასა და მათემატიკაში რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.

4.4. მოტივაციის გაზრდა

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ამოცანაა რაც სწავლების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია. მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა, ასევე თუ მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

4.5. დისციპლინა

სკოლა ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. სკოლის მასწავლებელთა მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად; ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეებისადმი დისციპლინური ღონისძიებების გატარებისას ისეა დადგენილი, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს და ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს; „მოსწავლის ქცევის კოდექსის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებას (შემდგომში – მოსწავლის ქცევის კოდექსი); „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებას (შემდგომში – მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი); სკოლის შინაგანაწესს და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს.

ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეებისადმი დისციპლინური ღონისძიებების გატარებისთვის დადგენილია ისე, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს.სკოლა ახდენს დაგვიანებეისა და გაცდენების სისტემურ აღრიცხვას **(დანართი N 8).** სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხო სკოლის მონიტორინგის პროგრამა (დანართი 14)

4.6. მოსწავლეთა ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს ჩვენი სკოლის მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში თანამონაწილეობასაც. გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, ღონისძიებების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

მოსწავლეთა შესაძლებლობების თვითრეალიზების ხელსეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითრეალიზების ხელშემწყობი პროგრამა. **(დანართი N 13)**

4.7. აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ დიდი ყურადღება ექცეოდეს ისეთი სენის აღმოფხვრას, როგორიცაა პლაგიატობა (ანუ სხვისი აზრების მითვისება). სკოლაში უნდა შეიქმნას ისეთი სასწავლო ატმოსფერო, სადაც სხვისი აზრების, მოსწავლისა თუ მასწავლებლის, მეცნიერისა თუ მწერლის აზრების საკუთრად გასაღება სირცხვილად ითვლებოდეს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ სხვისი ნაშრომის მითვისება და საკუთარ მიღწევად გამოცხადება ისეთივე ქურდობაა, როგორც სხვისი ნივთის მითვისება.

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.
3. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.
4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
5. სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.
8. სკოლის მოსწავლე სარგებლობის მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.
9. სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.
10. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა).
11. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.
12. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. დირექტორის მოადგილე/საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2024-2025 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2024 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2025 წლის 14 ივნისი, გარდა XII კლასისა;

3. XII კლასის მოსწავლეთათვის 2024-2025 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2025 წლის 20 მაისი;

4. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2024 წლის 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2025 წლის 15 იანვარს;

6. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:
ა) სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;
გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

- **2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი დანართი N1 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.**

7. სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- VII-XII კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 45 წუთი.

8. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი. კერძოდ, სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) გაკვეთილების განრიგი მაგრამ, არანაკლებ 30 წუთამდე.

9. გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების განრიგი, სადაც მოცემულია შესვენებებიც დანართი N2 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

გაკვეთილი	დაწყება დასრულება VII-XII კლასი	დასვენება VII-XII კლასი
I	09.00--09.45	5 წთ
II	09.50—10.35	5 წთ
III	10.40—11.25	5 წთ
IV	11.45—12.30	20 წთ
V	12.35—13.20	5 წთ
VI	13.25—14.10	5 წთ
VII	14.15—15.00	5 წთ

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის საგნობრივი კათედრები:

- ❖ სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები- ნინო ნასყიდაშვილი
- ❖ მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების ხაზვის მასწავლებლები - ნუგზარ მახათაძე
- ❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბიოლოგიისა და ქიმიის პედაგოგები - თამარ მელაძე
- ❖ ფიზიკის კათედრა, რომლის შემადგენლობაში შედიან ფიზიკისა არჩევითი საგნის შესავალი თანამდეროვე ფიზიკაში მასწავლებლები - ლეილა ნარინდოშვილი
- ❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პროექტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის/მუსიკის პროექტის , სპორტის მასწავლებლები- მანანა გაბუნია

- ❖ უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და რუსულის მასწავლებლები- მაია გოგიაშვილი

კათედრების ფუნქციებია:

- ➢ საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;
- ➢ რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- ➢ კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- ➢ საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- ➢ სხვა საგნებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ➢ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა;
- ➢ თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა.

სკოლის საგნობრივი კათედრების შექმნის მიზანია კოორდინირება გაუწიოს საგნის ან საგნების სწავლებას, იზრუნოს კეთედრის წევრი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ხელი შეუწყოს სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების დაგეგმვას და განხორცელებას. პროფესიული გამოცდილების გაზიარება, კვლევა, ერთობლივი დაგეგმვა სასწავლო პროცესის და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილება და.ა.შ.), უზრუნველყოს კათედრის წევრების და სხვა საგნობრივ კათედრების სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმირება; ახალი გამოწვევების და სიახლეების სასწავლო პროცესში დანერგვის მექანიზმების შემუშავებას. განახორციელოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი. ემსახუროს სკოლის მისიისა და კათედრის დებულების განხორციელებას.

სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა რეგულირდება კათედრის დებულებით.
(იხ.საგნობრივი კათედრების დებულება).

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

1. შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ამოცანები
მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

3. მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა

სკოლაში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	

4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

VII-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

X და XI კლასებში შემავალ პროექტებში ,,სამოქალაქო განათლება'', ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება'' და ,,მუსიკა'', მოსწავლეები ფასდებიან ზეპირი განმავითარებელი შეფასებით.

საგანში „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ და არჩევით საგნებში: „ხაზვა“- 10 კლ; „მსოფლიო კულტურა“ -11კლ; „შესავალი თანამედროვე ფიზიკაში“-12 კლასი მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

4. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა** – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში მათემატიკა და ფიზიკაში აისახება **წლიური გამოცდის ნიშანიც,** რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე. (იხ. ქვემოთ, გამოცდის ტიპები);
- **საფეხურის საერთო ქულა** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

5. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება;
2. საკლასო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება;

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (VII-XII კლასები),
ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
გ) შემაჯამებელი დავალება (VII-XII კლასები),

VII-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

სასკოლო სასწავლო გეგმას **დანართი N 2** სახით თან ერთვის შეფასების რუბრიკები, თუმცა ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით, თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.სასკოლო სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას **(დანართი # 4).** შემაჯამებელი დავალებების შეფასების ფორმები **(დანართი # 2)**

ესგ-ის მუხლი 32, 9[1]-ის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის 1/3-ზე მეტი დისტანციური სწავლების ფორმით წარიმართება სკოლა შეამცირებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, რაც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა დაემთხვევა სემესტრის განმავლობაში ნასწავლი თემების რაოდენობას.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი)

6. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N3 სახით თან ერთვის შეფასების სქემები/რუბრიკები, თუმცა ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით, თითოეულმა მასწავლებელმა

შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა.

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 40 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 27 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდეგი სახით: (27*10:40=6,75).

7. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

გამონაკლისს წარმოადგენს საგანის - მათემატიკა სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამონისტყროს ნებართვის საფუძველზე, აღნიშნულ საგნებში სემსტრული შეფასება იწერება მხოლოდ შემაჯამებელი სამუშაოების საფუძველზე.

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მათემატიკასა და ფიზიკაში დაგეგმილია წლიური გამოცდის ჩატარება, ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, კერძოდ, საგნის

წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული იქნება (დამრგვალებული მეათედის სიზუსტით).
დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).
გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1.კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში - სპორტი, „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

2.მათემატიკისა და ფიზიკის ბარიერი განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის მერვე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად- კერძო სკოლებს და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლებს უფლება აქვთ, დაადგინონ გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი, მაგრამ არანაკლებ ეროვნული სასწავლო გეგმის მერვე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლაში კლასის დაძლევის ბარიერი ფიზიკასა და მათემატიკაში განიზაღვრება შემდეგი წესით:

VII - კლასი: მათემატიკა-არანაკლებ 5.5 ქ
ფიზიკა-არანაკლებ 5.5 ქ

VIII- კლასი: მათემატიკა-არანაკლებ 6 ქ.
ფიზიკა-არანაკლებ 6 ქ
IX- კლასი: მათემატიკა- არანაკლებ 6,3 ქ
ფიზიკა-არანაკლებ 6.3 ქ
X- კლასი: მათემატიკა-არანაკლებ 6ქ.
ფიზიკა-არანაკლებ 6 ქ
XI- კლასი: მათემატიკა-არანაკლებ 6 ქ.
ფიზიკა-არანაკლებ 6 ქ

ესგ-ის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, თუ მოსწავლემ ვერ გადალახა სკოლის მიერ დადგენილი მათემატიკა-ფიზიკის ბარიერი, მაგრამ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლებას.

9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
4. მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის შემთხვევაში, ასეთ მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს

გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

10. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2024-202 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **სემესტრული გამოცდა;**
- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**

10.1 სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

10.2 საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები (გარდა მათემატიკისა და ფიზიკისა, აღნიშნულ საგნებში ბარიერი კლასების მიხედვით მითითებულია თავში „ 8. კლასისა და საფეხურის დაძლევა“) სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

4. სკოლა საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2025 წლის 01 სექტემბრიდან 10 სექტემბრამდე. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში (ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზღვრგარეთ წასვლა და სხვა ოჯახური პირობები), საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2025 წლის 29 ივნისიდან 07 ივლისის ჩათვლით.

10.3 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

10.4 წლიური გამოცდა

1. 2024-2025 სასწავლო წელს წლიური გამოცდა ჩატარდება შემდეგ კლასებსა და საგნებში:

N	საგანი	კლასი
1.	მათემატიკა	VII-XI
2.	ფიზიკა	VII-XI

2. წლიური გამოცდის ქულას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას, წლიური გამოცდის ქულა დაემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი გაიყოფა სამზე.
3. წლიურ გამოცდას ჩააბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ. ამ შემთხვევაში სკოლა მოახდენს საგამოცდო მასალის ადაპტირებას - შეიქმნება ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10, დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

4. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტურს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.
2. ვერიფიკაციის ამოცანებია:
ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;
ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;
გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;
3. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:
- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან

სემესტრული გამოცდის ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის პრინციპები

1. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია,** გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

3. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

4. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის

5. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის,- შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, თუ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

6. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

ვერიფიკაციის პროცესი

1. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში). სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლე ტოვებს სკოლას თუ მან ვერ დაძლია მათემატიკასა და ფიზიკაში კლასისითვის დადგენილი ბარიერი. აღნიშნულის გამო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების მიმართ ვალიდურობა, სანდოობა და გამჭვირვალობა. სკოლის დირექციის ინიციატივით და კათედრებთან შეთანხმებით, ორგანიზება უკეთდება მათემატიკისა და ფიზიკის გაფართოებულ შემაჯამებელ წერებს, რომლის გასწორება ხდება მოსწავლის იდენტიფიცირების გარეშე, კატდრის ყველა წევრის ჩართულობით.

2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;

ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;

გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;

დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;

ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;.

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს:

- დირექტორის მოადგილემ;
- შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადსწრების, შეფასების რუბრიკების შემუშაების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს);
- დირექტორის მიერ შექმნილმა კომისიამ (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება).

საათობრივი ბადე

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 3 სახით თან ერთვის დასწრებითი სწავლების სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც:

ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;
ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

სკოლას არჩევითი საგნების სახით არჩეული აქვს:

ხაზვა	X კლასი
მსოფლიო კულტურა	XI კლასი
შესავალი თანამედროვე ფიზიკაში	XII კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა/ განაყოფები

მოსწავლეთა რაოდენობა

1. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-9 მუხლის მე-18 პუნქტის შესაბამისად, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 25 მოსწავლით.
2. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-9 მუხლის 18 პუნქტით დადგენილ მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. თანხმობა გაიცემა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ მოსწავლეზე და ვრცელდება ამავე მოსწავლის მიერ ამავე სკოლის მომდევნო კლასში სწავლის გაგრძელებისას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 29-ს. დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-9 მუხლის, მე-20 პუნქტის შესაბამისად 2014-2025 სასწავლო წლამდე საჯარო სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთათვის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 30 მოსწავლით. მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით. თანხმობა გაიცემა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით კონკრეტულ მოსწავლეზე და ვრცელდება ამავე მოსწავლის მიერ ამავე სკოლის მომდევნო კლასში სწავლის გაგრძელებისას. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35-ს.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში მიმდინარეობს მათემატიკისა და ფიზიკის გაძლიერებულად სწავლება, სკოლა ატარებს სარეკომენდაციო ტესტირებას მათემატიკასა და ფიზიკაში. ტესტირების მიზანია სკოლაში გადმოსვლის მსურველ მოსწავლეებს:

- დაეხმაროს ზემოთ აღნიშნულ სასწავლო დისციპლინებში მათ მიერ ათვისებულ და სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა - მათემატიკის ქ.თბილისის # 42 საჯარო სკოლაში არსებულ პროგრამებს შორის შესაბამისობის ხარისხის დადგენაში;
- პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობის შემთხვევაში გაუწიოს რეკომენდაციები ინდივიდუალური მუშაობისათვის, რათა სკოლაში სწავლის გაგრძელების პროცესი არ იყოს რთული, არ გამოიწვიოს მოსწავლის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აკადემიური მოსწრების კუთხით და არ მოხდეს მისი კანონიერი უფლებების დარღვევა.

4. სკოლაში მოსწავლეთა მიღება, სხვა სკოლაში გადასვლა, პარალელურ კლასში გადასვლა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა, სტატუსის შეჩერება და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა ხდება შესაბამისი პროცედურებით **(დანართი # 10).**

სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით ქმნის განაყოფებს საგნებში:

სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით „ინფორმატიკაში“ VII-VIII კლასებში ქმნის განაყოფებს. განაყოფების შექმნა განპირობებულია კომპიუტერების რაოდენობისა და კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შეუსაბამობით.

საგანი	კლასი
კომპიუტერულ ტექნოლოგიები,	VII-VIII კლასები
მეორე უცხოური (რუსული/გერმანული) ენაში	VII-XII კლასები

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 5 სახით თან ერთვის ძირითადი საგანამანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით.

სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სწავლება განხორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე.

ციფრული ტრანსფორმაცია

სკოლას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართვისთვის. შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია საგაკვეთილო პროცესის წარმართვა კომპიუტერული რესურსების გამოყენებით.

მასწავლებლები აღჭურვილია პორტატული კომპიუტერით, სკოლას აქვს მოძრავი პროექტორები. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ელექტრონული რესურსებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნან ელექტრონული რესურსები.

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორი. მოსწავლეებს აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გარდა ამისა, სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შესაბამისად, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახებში არსებული ტექნიკა საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და წარიმართოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, ელექტრონული რესურსების შექმნა, გამოყენება, უზრუნველყოფილია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის ჩართულობითა და ხელშეწყობით.

ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ინტერნეტის ქსელით.

შინსწავლება

სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეკუთვნებიან რისკჯგუფს პირისპირ სწავლების შემთხვევაში და მშობლის მიმართვის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოებები ცნობილი ხდება სკოლისათვის.

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებლი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

სავალდებულო საგნები

1. სავალდებულო საგანი ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლებაVII-XII კლასებში);

სახელმწიფო ენის შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ამ ჯგუფში შემავალი საგნის შესწავლის მიზანია მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების, საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, კითხვისა და სხვადასხვა შინაარსის ტექსტების შექმნის უნარის განვითარება; ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის აღძვრა; მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება.

2. სავალდებულო საგანი მათემატიკა (ისწავლებაVII -XII კლასებში);

მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში. აქედან გამომდინარე, სწავლებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა იმ მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, რომელის ეხმარება მოზარდს გარემომცველი სამყაროს შემეცნებისას სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკური პროცესების მართვისას, საყოფაცხოვრებო თუ მეცნიერული პრობლემების გადაჭრისას. გარდა ამისა, მათემატიკის სწავლებისას, ძირითადი ფოკუსი გადატანილია როგორც პრაქტიკული ასევე მეცნიერული ხასიათის პრობლემების გადაჭრაზე და მათემატიკისადმი მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე.

3. უცხოური ენები (ინგლისური, რუსული და გერმანული ენები ისწავლება VII -XII კლასებში);

უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სულ მცირე ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი. სკოლის პროფილიდან გამომდინარე VII ამ საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას.

ფიზიკა-მათემატიკის სტატუსიდან გამომდინარე, აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მატემატიკის ქ. თბილისის #42 საჯარო სკოლაში, VII კლასიდან სწავლას აგრძელებენ სხვადასვა სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეები. ინტერესების გათვალისწინებით სკოლა ასეთ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გააგრძელოს იმ მეორე უცხო ენის შესწავლა, რომელსაც ეუფლებოდნენ VII კლასამდე. შეასბამისად სკოლაში ისწავლება:

პირველი უცხო ენა-ინგლისური

მეორე უცხო ენები: გერმანული და რუსული. სკოლაში გადმოსული მოსწავლე, აგრძელებს იმ მეორე უცხოენის სწავლას, რომელსაც სწავლობდა წინა სკოლაში.

უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტები შედგენილია ენის ფლობის დონეების მიხედვით და საერთოა ნებისმიერი უცხოური ენისათვის. საშუალო საფეხურის დასრულებისას ერთ-

ერთ უცხოურ ენაში მოსწავლე უნდა ფლობდეს სIII-სVI დონეს (B1), ხოლო მეორე უცხოურ ენაში - სII დონეს (A2).

4.საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII- VIII, XI -XII კლასებში);

ბ) საქართველოს ისტორია (ისწავლება IX კლასში);

გ) შესავალი ისტორიაში (ისწავლება X კლასებში);

დ) გეოგრაფია (ისწავლება VII- VIII კლასებში);

ე) საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);

ვ) მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);

ზ) გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);

თ) სამოქალაქო განათლება/მოქალაქეობა (ისწავლება VII- XII კლასებში);

კ) პროექტები სამოქალაქო განათლებაში (ისწავლება X - XII კლასებში)

ლ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისწავლება VII- VIII კლასში)

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) ფიზიკა (ისწავლება VII-XII კლასებში);

ბ) ქიმია (ისწავლებაVIII-XII კლასებში);

გ) ბიოლოგია (ისწავლება VII-XII კლასებში);

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიცნოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

საგნების სწავლებისას მოსწავლეს საშუალება ეძლევა გაიაზროს საბუნებისმეტყველო დარგში მუშაობის თავისებურებანი, აღნიშნული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის. სწავლების პროცესში გამომუშავებული სპეციფიკური უნარ-ჩვევებიდან მნიშვნელოვანია: დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გაღრმავება, რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ან სხვათა მონაცემებით მანიპულირება, ახალი ან შეცვლილი სიტუაციის შედეგების წინასწარ განჭვრეტა, ჰიპოთეზის გამოთქმა, ექსპერიმენტული მოდელის შექმნა; პროექტის მომზადება, წარმართვა და დაცვა ფართო აუდიტორიის წინაშე.

6. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება VII -IX კლასებში);
ბ) მუსიკა (ისწავლებაVII-IX კლასებში);
დ) პროექტები მუსიკაში (ისწავლება X - XI კლასებში)
ე) პროექტები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (ისწავლება X - XI კლასებში)

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასებისა და შექმნის უნარები; დაეხმაროს მათ ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში.
7. სავალდებულო საგანი ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ისწავლება - VII -XII კლასებში);
სპორტის სწავლების მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, საგნის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. სსსმ მოსწავლეები სპორტის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

არჩევითი საგნები

საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კლასიდან კლასში გადასვლისას სკოლა საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით სთავაზობს მათ სხვადასხვა საგნის არჩევის შესაძლებლობას.
2024-20245სასწავლო წელს არჩეულ იქნა შემდეგი საგნები:
1.არჩევითი საგანი „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“ (ისწავლება X კლასებში);
2.არჩევითი საგანი „მსოფლიო კულტურა“ (ისწავლება XI კლასებში);
3.არჩევითი საგანი „შესავალი თანამედროვე ფიზიკაში“ (ისწავლება XII კლასებში);
არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ. XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება;

დამატებითი მომსახურების საჭიროების დასაბუთება

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამებისა ითვალისწინებს სტანდარტზედა მოსახურებას. რომლის ფარგლებში მოსწავლეებს, თავისუფალი არჩევანის პრინციპის საფუძველზე, შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ ამ მომსახურებით გათვალისწინებული სხვადასხვა კურსით: მენეჯმენტი, პროგრამირება, კონფლიქტოლოგია, ლოგიკა, ბუღალტერია, ელექტრონული კვანძები და ქსელები, ჟურნალისტიკა, მსოფლიო ლიტერატურა ანტიკურიდან დღემდე, ევროპის მოქალაქეობა/ გზა ევროპისკენ, ლოგიკის საწავლო კურსის ვერბალური ნაწილი, რობოტექნიკა. აღნიშნული კურსების წარმატებით გავლის შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზნებია:
დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

1) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა;
2) მოსწავლეთათვის ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება;
3) მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართიებისათვის სათანადო პირობების შექმნა;
4) არჩევანის თავისუფლების ხარისხის გაზრდა;
5) არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვა.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ამოცანებია:
ა) სკოლის მოსწავლეებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში (შემდგომში „სტანდარტზემოთ მომსახურება“ – შიდასასკოლო სერვისები), ასევე სკოლაში არარეგისტრირებული მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სერვისების (შემდგომში „საშაბათო სკოლა“ - გარესასკოლო სერვისები) შეთავაზება;
ბ) პროგრამების მოსამზადებელი ჯგუფის მიერ შემუშავებული და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული, შესაბამისი პროგრამების მიხედვით სტანდარტზემოთ მომსახურებას განხორციელება.
გ) სასკოლო სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების პროგრამების ფარგლებში სკოლის ადმინისტრაციის მიერ სათანადო სერვისების მმართველი ჯგუფის შექმნა.
დ) სერვისების მმართველი ჯგუფის მიერ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება და სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტება.
ე) სტანდარტზედა მომსახურების პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსიის წარმმართველების შერჩევა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათთან ხელშეკრულების გაფორმება.
ვ) სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტზედა მომსახურების ფასიანი პროგრამების ფარგლებში ყველა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება.

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახეები და ჩამონათვალი
შიდასასკოლო სერვისების ფარგლებში, სკოლის მენეჯმენტი მომხმარებელს სთავაზობს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შემდეგ ჩამონათვალს:

სტანდარტზედა მომსახურების საგნები კლასების მიხედვით ***2024-25 სასწ. წელი***						
	ჯგუფი	მასწავლებელი	კლასები	დღე, დრო	დრო	ოთახი
1	ლოგიკა 1	ონაშვილი	7/1, 7/2, 7/3	ორშაბათი	14.10	105
2	ლოგიკა 2	კუპატაძე	7/4	სამშაბათი	14.10	205
3	ლოგიკა 3	ონაშვილი	8/3, 8/4, 8/5	სამშაბათი	14.10	105
4	ლოგიკა 4	კუპატაძე	12/2, 12/4, 11/5	ხუთშაბათი	14.10	205
5	ლოგიკა 5	მამულაშვილი	9/2,9/4	ოთხშაბათი	14.10	202
6	ლოგიკა 6	იოსელიანი	9/1, 9/5, 9/6, 10/2, 10/3	პარასკევი	14.10	310
7	პროგრამირება 1	ქოთოლაშვილი	7/1, 7/3	ორშაბათი	14.10	304
8	პროგრამირება 2	ქოთოლაშვილი	7/2, 7/4, 8/1, 8/2. 8/3	პარასკევი	14.10	304
9	პროგრამირება 3	ქოთოლაშვილი	8/4, 8/5, 9/2, 9/3	შაბათი	14.00	304
10	პროგრამირება 4	ქოთოლაშვილი	10/1, 10,3, 10/4, 10/5, 11/3, 11/5,12/2, 12/5	შაბათი	15.00	304
11	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	მე-7	ორშაბათი	14.10	212
12	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	მე-8	სამშაბათი	14.10	304
13	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	9/3, 10/2	ხუთშაბათი	14.10	304
14	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	9/1, 9/2, 9/4, 9/6, 10/4, 10/5	პარასკევი	14.10	304
15	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	9/5, 10/3, 11/2	შაბათი	13.00	304
16	ხელოვნ. ინტელექტი	ლობჟანიძე	11/3, 11,4, 11/5	შაბათი	14.00	304
17	გამოყენ. ფსიქოლ. 1	ბალანჩივაძე	მე-9	პარასკევი	14.10	309
18	გამოყენ. ფსიქოლ. 2	გოგოლაძე	10/4, 10/5, 11/2, 11/3, 11/5, 12/2	პარასკევი	14.10	310
19	კრიტიკული აზრ. 1	იოსელიანი	7/1, 7/3, 8/1, 8/3	ორშაბათი	14.10	203

20	კრიტიკული აზრ. 2	იოსელიანი	7/2, 7/4, 8/4, 8/5, 9/5	ოთხშაბათი	14.10	203
21	ელ. ქსელები	გორგიშელი	ყველა	პარასკევი	14.10	110
22	კონფლიქტ. მართვა	ვასაძე	ყველა	პარასკევი	14.10	301
23	ხაზვა	სურმავა	ყველა	პარასკევი	14.10	202
24	ბუღატერია	ბეგიაშვილი	ყველა	პარასკევი	14.10	204
25	მე-20 საუკ. პოეზია	ნასყიდაშვილი	11/1, 11/2	ოთხშაბათი	14.10	310
26	ლიტმცოდნეობა	ნასყიდაშვილი	9/2, 10/3, 11/3, 11/5	პარასკევი	14.10	302
27	მსოფლ. ლიტერატ.	სალაყაია	ყველა	პარასკევი	14.10	207
28	ფოტოგრაფია	ყენია	7/1, 7/2, 7/4 , 8/3, 8/4, 9/1, 9/6	პარასკევი	14.10	303
29	ფოტოგრაფია	ყენია	10/1, 10/3, 10/4, 11/2	შაბათი	14.00	303
30	ხელსაქმე	ი. ნემსაძე	ყველა	პარასკევი	14.10	308

დანართი N 6 -ის სახით თან ერთვის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების პროგრამების აღწერები

1) წრეობრივი მუშაობის გაძლიერების მიზნით გაგრძელდება სასკოლო სისტემაში მომავალი სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მოტივირებისა და მომზადების ხელშეწყობის პროგრამა;

საოლიმპიადო წრეების განრიგი 2024-25 სასწ. წელი						
#	საგანი	კლასი	მასწავლებელი	დღე	დრო	ოთახი
1	მათემატიკა	მე-7	წიწილაშვილი ლუკა	სამშაბათი	15.00	207
2			ხუციშვილი ირაკლი	კვირა	13.30	
3	მათემატიკა	მე-8	კუპატაძე კოტე	სამშაბათი	15.00	205
			გელაშვილი დემეტრე	კვირა	12.00	
4	მათემატიკა	მე-9,	ხუციშვილი ირაკლი	ოთხშაბათი	15.00	204

		10, 11, 12	კუპატაძე კოტე	ხუთშაბათი	15.00	205
5			წიწილაშვილი ლუკა	შაბათი	14.00	205
			გელაშვილი დემეტრე	კვირა	13.30	205
6	ფიზიკა	მე-8,9	ოსმანოვი	შაბათი	11.00	110
		მე -9		ხუთშაბათი	15.00	
7		მე-10,11, 12	ბახტაძე გიორგი	ორშაბათი	15.00	203
8				პარასკევი		
9	ინფორმატიკა	მე-8 - 12	ქოთოლაშვილი გურამ	პარასკევი		304
			გელაშვილი დემეტრე	კვირა		212
10	ფიზიკოსთა და ნატურალისტთა ტურნირები	მე-8 - 12	ბახტაძე გიორგი	ორშაბათი	14.00	111
				ხუთშაბათი		
			ოსმანოვი ლაზარე	ხუთშაბათი		
				შაბათი	12.30	
11	ქიმია	მე-8	ბუთხუზი თინათინ	სამშაბათი	15.00	308
		მე-9		ხუთშაბათი	15.00	308
		მე-10-11-12		პარასკევი	19.00	ონლაინ
12	ბიოლოგია	მე- 9	მელაძე თამარ	სამშაბათი	15.00	307
		მე-8		ხუთშაბათი	15.00	307
		მე-10 11-12	სოხაძე ნიკა	ოთხშაბათი	15.00	203
				შაბათი	13.00	203
13	რობოტიკა	მე-7-11	ლობჟანიძე	სამშაბათი	15.00	304
				ხუთშაბათი		

2) გარე სასკოლო სერვისების ფარგლებში, სკოლა მომხმარებელს სთავაზობს საშაბათო სკოლის პროგრამას, რომლის მიხედვითაც გაგრძელდება ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამების ფასილიტირება.

შიდასასკოლო და გარესასკოლო სერვისების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების აღწერა 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია.

სადამრიგებლო პროგრამა

ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა. ამასთან, სადამრიგებლო საათის ჩატარება ხდება ცალკე, გაკვეთილების შემდეგ.

სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ და ა.შ.

დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
2. **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
3. **მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება** - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
   - **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

დამრიგებლის ფუნქციები:

- დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობისათვის დამრიგებელი უზრუნველყოფს როგორც გაფართოეუბული ასევე ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას.
- რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მეილების საშუალებით ახდენს მშობელის ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.
- საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ მშობელს და აწვდის მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევებს, გაკვეთილებზე დასწრებას და ქცევას მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამზადებს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და აწვდის მშობელს.

- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, ამზადებს ინფორმაციას მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და ათავსებს მოსწავლის პირად საქმეში.
- დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.
დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

- საუბრები მოსწავლეებთან;
- დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
- ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
- ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;

მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ) არის მოსწავლე, რომელიც არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან ან/და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, გახანგრძლივებული სირთულეები ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე ვერ აკმაყოფილებს;

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომ – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.
4. ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ისგ ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სწავლის დაწყებიდან ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ისგ ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სწავლის დაწყებიდან ან/და სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლის კიბეებზე გაკეთებულია მოძრავი პანდუსი, რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადება შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N8 სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა

სტრატეგიული გეგმის განვითარება

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან.

სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:
ა) სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექტორი და დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი).

SWOT ანალიზი

1. სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.
2. SWOT ანალიზით განისაზღვრება ოთხი ძირითადი მიმართულება:
2.1. ძლიერი მხარეები;
2.2. სუსტი მხარეები;
2.3. შესაძლებლობები;
2.4. საფრთხეები;
3. SWOT ანალიზის დროს სისუსტეების გამოვლენა ემსახურება იმ მიზანს, რომ ისინი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეულ იქნეს და ტრანსფორმირდეს სკოლის ძლიერ მხარეებად. საფრთხეების წინასწარი შეფასება კი საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს.
4. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

სტრატეგიულ გეგმასა და SWOT ანალიზზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც აზუსტებს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი

1. სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.
2. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.
3. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხები რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიით.

პერსონალის მართვა და განვითარება

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ამოცანებსა და ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვა, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიული განვითარებას, მოტივაციის ზრდის მექანიზმებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სასკოლო დროს, სკოლის ტერიტორიაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა.
უსაფრთხოების პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, **უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს,** სკოლის ქონების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და მექანიზმებს.
სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.
სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები, მანდატურები და დარაჯები .
სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. სკოლის შენობაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს სამედიცინო პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.

სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს ეზო. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია ----------მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები. ასევე, კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები როგორც

მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა .ასევე, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას აქვს აქტიური ვებ-გვერდი **vekua 42.edu.ge** და გვერდი სოციალურ ქსელში **https://www.facebook.com/schoolvekua**, რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

ფინანსური რესურსები

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და ხარჯი. სკოლის შემოსავალი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და დამატებითი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის მომდევნო წლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის დასრულებისას და მიმდინარე წლის განმავლობაში ხორციელდება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტება.

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.
სკოლა უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველას მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები.

დასკვნითი დებულება

სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედების ვადაა ერთი სასწავლო წელი.
სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და სასწავლო პროცესის დაწყებამდე დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე.
სასკოლო სასწავლო გეგმას დანართების სახით ერთვის სასკოლო კურიკულუმები საფეხურების მიხედვით:

- ❖ საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი **(დანართი 14)**
- ❖ საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი **(დანართი 14)**

სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები

სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრ წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

ბ) სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის განისაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდებულია წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად არის გარდაქმნილი.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული **ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები,** ასევე **კომპლექსური დავალება/დავალებები** და **შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.** თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

ქვეცნებები - წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები დანართი N9 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.